1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი — ივნისი

1980 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი — ივნისი 1980 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

36. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 47 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ
37. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მ. ნ. საბაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ
38. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან მეცნიერული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის შექმნის შესახებ
39. სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

40. რესპუბლიკის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების სხდომათა ერთიანი ღღის დაწესების შესახებ

კ. მარქსის სახ. ... სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

41. იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საწარმო-ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ტყეების გადაცემის აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტყეები
42. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისათვის საქართველოს სსრ ცენტრალური დაწესებულების სტატუსის მინიჭების შესახებ
43. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ
44. ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილებისა და 1979 წლის 26 ივლისის № 519 დადგენილებაში დამატებითი ცვლილებების შეტანის შესახებ
45. ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენების დარგში თვალსაჩინო ნამუშევრებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თ. ფ. დავითაიას სახელობის პრემიის დაწესების შესახებ
46. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ
47. თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანებას „ბახტრიონის“ შექმნის შესახებ
48. თვალსაჩინო ქართველი მეცნიერ-ისტორიკოსის, პროფესორ გ. ი. ნათაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ
49. საქართველოს სსრ იმ მდინარეებზე, სადაც გავრცელებულია ორაგულისებრი და თართისებრი თევზი, აკრძალული ზოლების დაწესების შესახებ
50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 30 ოქტომბრის № 583 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში დამატების შეტანის შესახებ
51. სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ დებულების დამტკიცების შესახებ
52. სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ დებულების დამტკიცების შესახებ
53. მესტიის რაიონის სოფელ ჩაჟაშის ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მუზეუმ — ნაკრძალის შექმნის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

36 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 47 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„სამსახურებრივ მივლინებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 47 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ამოღებულ იქნეს „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 ივლისის № 459 დადგენილების მე-18 პუნქტის მეშვიდე აბზაციდან სიტყვები: „მიავლინებენ საწარმოების მუშაკებს საჭიროების შემთხვევაში რაიონის, ოლქის, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ“.

2. „1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 მარტის № 180 დადგენილების მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვები: „სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 19 ივლისის № 1047 დადგენილებით“ შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 46 დადგენილებით“.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 47 დადგენილების შესაბამისად „სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 ივნისის № 536 დადგენილების (დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 11 ივლისის № 445 დადგენილებით) მე-3 პუნქტიდან ამოღებულია სიტყვები: „ექვს თვემდე ვადით“, ხოლო სიტყვები: „სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 19 ივნისის № 1047 დადგენილების შესაბამისად — არა უმეტეს ორი თვისა“ შეიცვალა სიტყვებით: „სსრ კავშირის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 46 დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აბზაცის შესაბამისად".

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 6 მაისი, № 417

37 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მ. ნ. საბაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება თვალსაჩინო მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის მიხეილ ნიკოლოზის ძე საბაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ, და ამასთან დაკავშირებით:

1. მიეკუთვნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მ. ნ. საბაშვილის სახელი:

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს;

— ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

2. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა მ. ნ. საბაშვილი.

3. დაარსდეს მ. ნ. საბაშვილის სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდიდან ბიოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. კოლბინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 27 მაისი, № 474

ეროვნული ბიბლიოთეკა

38 საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან მეცნიერული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის შექმნის შესახებ

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის ზოგადმეცნიერული და ზოგადტექნიკური სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნის საქმის შემდგომი მოწესრიგების, ავრეთვე რესპუბლიკაში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოების სხდომებზე ქართულ ენაზე დაცული სადისერტაციო ნაშრომების და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უმაღლეს საატესტაციო კომისიაში წარსადგენი მასალების რუსულ ენაზე თარგმნის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან მეცნიერული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგია.

2. დამტკიცდეს მეცნიერული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის სტრუქტურა და შტატები, დანართის თანახმად.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოყონ 1980 წელს შესაბამისი ხელფასის ფონდი და ასიგნებანი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული მეცნიერული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის შესანახად.

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უმაღლეს საატესტაციო კომისიაში წარსადგენი სადისერტაციო ნაშრომებისა და მასალების თარგმნა ხორციელდება ამ მიზნით შესაბამის სამეცნიერო, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გათვალისწინებულ ასიგნებათა ხარჯზე, ხოლო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების თარგმნა — სამეურნეო ანგარიშზე და ფინანსდება სასწავლო ლიტერატურის გამომშვებ გამომცემლობათა ხარჯზე.

ნება დაერთოს მეცნიერული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიას მიიზიდოს სამეურნეო ხელშეკრულებათა საწყისებზე დისერტაციების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების სათარგმნად მეცნიერი მუშაკები და სხვა სპეციალისტები.

4. დაწესდეს, რომ ქართულ ენაზე ითარგმნება ზოგადმეცნიერული და სპეციალური დისციპლინების სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოებად და დამხმარე სახელმძღვანელოებად უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ ყოველწლიურად დაამტკიცოს ქართულ ენაზე სათარგმნ სახელმძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა გეგმები, ხოლო მეცნიერული თარგმანის მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ უზრუნველყოს ამ გეგმების შესრულება.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული მეცნიერული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის მოსათავსებლად შესაბამისი სადგომის გამოყოფის საკითხი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლგინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 27 მაისი, № 475

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 27 მაისის № 475 დადგენილების დანართი

სტრუქტურა და შტატები

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული მეცნიერული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიისა

თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
მთავარი რედაქტორი	(მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი)
პასუხისმგებელი მდივანი	1
სადისერტაციო ნაშრომების თარგმნის რედაქცია:	
რედაქციის გამგე	1 (მეცნიერებათა კანდიდატი)
მთარგმნელი *)	4
საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების თარგმნის რედაქცია:	1
რედაქციის გამგე	1 (მეცნიერებათა კანდიდატი)
მთარგმნელი *)	4
საბუნებისმეტყველო და ტექნიკის მეცნიერებათა სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების თარგმნის რედაქცია:	
რედაქციის გამგე	1 (მეცნიერებათა კანდიდატი)
მთარგმნელი *)	4
დამხმარე პერსონალი:	
უფროსი ბუღალტერი	1
სამნეო ნაწილის გამგე	1
საქმისმწარმოებელ-მდივანი	1
მემანქანე	5
დამლაგებელი	1

* მთარგმნელთა შრომა ნაზღაურდება გამომუშავების მიხედვით დადგენილი წესით.

39 სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი სახალხო განათლების საკითხებზე, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 10 ივნისი, № 513

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 10 ივნისის № 513 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული დადგენილებებისა სახალხო განათლების საკითხებზე

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 4 ოქტომბრის № 1785 დადგენილება — „საშუალო და არასრული საშუალო სკოლების 7-10 კლასების მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბმის შესახებ“ (საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1941 წ., № 26, მუხ. 155).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 3 აგვისტოს № 1126 დადგენილება „საქართველოს სსრ ქალაქების საშუალო და არასრულ საშუალო სკოლებში 1943-1944 სასწავლო წელს ვაჟებისა და ქალების ცალ-ცალკე სწავლების შემოღების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 5 ივლისის № 760 დადგენილება „საქართველოს სსრ ზოგიერთი ქალაქის არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში 1944-1945 სასწავლო წელს ვაჟებისა და ქალების ცალ-ცალკე სწავლების შემოღების შესახებ".

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 12 ივლისის № 1045 დადგენილება „საქართველოს სსრ ზოგიერთ საშუალო სკოლაში ლათინური ენის სწავლების შემოღების შესახებ".

5. მე-8 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ნოემბრის № 638 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის ზომების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

40 რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების სხდომათა ერთიანი დღის დაწესების შესახებ

მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების სხდომათა ორგანიზაციის სრულყოფისა და მათი ჩატარებისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს რესპუბლიკის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების სხდომათა ერთიანი დღე — კვარტალის დამთავრების მომდევნო თვის ყოველი მეორე ხუთშაბათი.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს პრაქტიკაში შემოიღონ ხელმძღვანელ მუშაკთა მიმაგრება საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების სხდომათა დაწესებულ დღეს ჩასატარებლად და ამ სხდომათა შედეგების პერიოდული განხილვა კოლეგიებისა და პრეზიდიუმების გაერთიანებულ სხდომებზე.

3. წინადადება მიეცეთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებს უზრუნველყონ მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების სხდომათა მომზადება და რეგულარულად ჩატარება დაწესებულ დღეს მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, ამ სხდომების მუშაობა უწინარეს ყოვლისა მოახმარონ აქტუალური საწარმოო-ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტას, წარმოების რეზერვების გამონახვასა და ეფექტიანად გამოყენებას, კოლექტივების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების წარმატებით რეალიზაციას, სოციალისტური შრომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისციპლინის განმტკიცებას, მშრომელთათვის ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონის პატრიოტული გრძნობის ჩანერგვას.

4. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოსმენილ იქნეს რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების საქმიანობის შედეგები წლის მუშაობის მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე.

5. ეთხოვოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს დაავალოს საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ხელი შეუწყონ რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების სხდომათა ერთიანი დღის ჩატარებას მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ამასთან გაითვალისწინონ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, მშრომელთა მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების, წარმოების მართვაში მონაწილეობისათვის მათი ფართოდ ჩაბმის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა რეალიზაცია.

6. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი**

ქ. თბილისი, 1980 წ. 6 ივნისი, № 483

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

41 იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საწარმო-ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ტყეების გადაცემის აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტყეები

საქართველოს სსრ ტყის კოდექსის 88-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საწარმო-ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ტყეების გადაცემის აქტის თანდართული ფორმა, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტყეები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 15 მაისი, № 393

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა №

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 15 მაისის № 393 დადგენილებით

ა ქ ტ ი

იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საწარმო-ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ტყეების გადაცემისა, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტყეები

19——— წლის „———“ ———————————————————

(აქტის შედგენის ადგილი)

———————————————————————————————

(იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება, რომელიც უძღვება სატყეო მეურნეობას)

——————————————————————————— სახით

(გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა)

———————————————————————————————

(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება იმ სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების აღნიშვნით, რომელსაც მიჩენილი აქვს ტყეები)

——————————————————————————— სახით

(გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა)

შევადგინეთ ეს აქტი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 19——— წლის „———“ ——————— № ——— დადგენილების საფუძველზე ———————————————————————

(იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება, რომელიც უძღვება სატყეო მეურნეობას)

ჩააბარა ———————————————————————————

(იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება, რომელიც იღებს მიჩენილ ტყეებს) მიიღო სახელმწიფო ფონდი

——————————————— ჰექტარი საერთო ფართობით

მათ შორის ტყეების ჯგუფების მიხედვით:

პირველი ჯგუფის ტყეები ——————————————— ჰექტარი

მეორე ჯგუფის ტყეები ——————————————— ჰექტარი

ტყით დაფარული ფართობი ——————————————— ჰექტარი

მათ შორის ნარგავები:

წიწვოვანი ——————————————— ჰექტარი

მაგარფოთლოვანი ——————————————— ჰექტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რბილფოთლოვანი ——————————————— ჰექტარი

ტყის კულტურები ——————————————— ჰექტარი

აქედან ტყით დაფარულ ფართობში

გადაყვანილი ——————————————— ჰექტარი

ეს აქტი შედგენილია ხუთ ცალად, რომელთაგან პირველი ცალი ინახება მიჩენილი ტყეების გადამცემ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, მეორე ცალი გადაეცემა საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, რომელიც იღებს მიჩენილ ტყეებს, მესამე და მეოთხე ცალები — მათს ზემდგომ (დაქვემდებარების წესით) ორგანოებს, ხოლო მეხუთე — სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

აქტის მეორე ცალს თან დაერთვის ნუსხის მიხედვით სატყეო ფონდის აღრიცხვის მასალები, ტყეთმოწყობის მასალები (ტყის გაშენების გეგმები, პლანშეტები, სქემატური რუკა, სატაქსაციო აღწერა და ა. შ.), ტყით სარგებლობის დოკუმენტები, ტექნიკური დოკუმენტაცია (სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების გამოყოფისა და მიღების დავთარი, ტყის კულტურების აღრიცხვის დავთარი, ტყის მოვლითი ჭრის დავთარი და ა. შ.) ან მათი ამონაწერები და ამონახაზები.

აქტის პირველ ცალს თან დაერთვის მიჩენილი ტყეების მიმღები საწარმოს, დაწესებულებისათვის და ორგანიზაციისა გადასაცემი მასალების, დოკუმენტაციის (ამონაწერების, ამონახაზების) ნუსხა.

მიჩენილი ტყეების გადამცემი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წარმომადგენელი ———————————————

(ხელმოწერა)

მიჩენილი ტყეების მიმღები საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წარმომადგენელი ———————————————

(ხელმოწერა)

შენიშვნა: აქტს დაესმის შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ბეჭდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

42 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისათვის საქართველოს სსრ ცენტრალური დაწესებულების სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას საქართველოს სსრ ცენტრალური დაწესებულების სტატუსი და იგი დაექვემდებაროს უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 15 მაისი, № 398

43 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან, ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით შემდეგი პუნქტი:

„115. სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს წნორის მექანიკური ქარხანა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 30 მაისი, № 461

ეროვნული ბიბლიოთეკა

44 ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილებასა და 1979 წლის 26 ივლისის № 519 დადგენილებაში დამატებითი ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და:

ა) „ლიტერატურის ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილებაში II განაყოფის „ა“ პუნქტი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

— ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებები, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომები: მეორე და მესამე გამოცემები — ამ დადგენილების I განაყოფით გათვალისწინებული შესაბამისი განაკვეთის 70 პროცენტი, მეოთხე გამოცემა — 60 პროცენტი, მეხუთე გამოცემა — 50 პროცენტი, მეექვსე და შემდგომი გამოცემანი —40 პროცენტი თითოეული;

ბ) „ლიტერატურის ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 26 ივლისის № 519 დადგენილების I განაყოფის „ა“ ქვეგანაყოფის №№ 14, 16 და 18 პუნქტები იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

ლიტერატურის სახეობანი	ტირაჟი (ათასი ცალი)	ჰონორარის განაკვეთი (მანეთი) საავტორო თაბახში (40 ათასი ნაბეჭდი ნიშანი) და ლექსის სტრიქონში
14. ლიტერატურულ-კრიტიკული, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომები, აგრეთვე წინასიტყვაობანი, ბოლოსიტყვაობანი, შესავალი სტატიები ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებებისათვის	10	165, 220, 275, 300 330, 350, 400
მასობრივი გამოცემანი:		
16. მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის), აგრეთვე მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურა, პიესები, კინოსცენარები, ნარკვევები და მემუარები	21 – 40	300. 350, 400
18. პოეზია (მათ შორის ბავშვებისათვის), აგრეთვე პიესები (სტრიქონში)	8 – 20	1,5; 1,75; 2

გ) აღნიშნული ცვლილებანი განხორციელდეს ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) აღნიშნული დადგენილება ძალაში შევიდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 26 ივლისის № 519 დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 30 მაისი, № 464

45 ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენების დარგში თვალსაჩინო ნამუშევრებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თ. ფ. დავითაიას სახელობის პრემიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს გამგეობის წინადადება და დაწესდეს თ. ფ. დავითაიას სახელობის პრემია ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენების დარგში თვალსაჩინო სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის ნამუშევრებისათვის ერთი პრემია — 1000 მანეთის ოდენობით.

2. აღნიშნული პრემია გაიცეს ორ წელიწადში ერთხელ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სახსრებიდან.

3. დავავალოთ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების გამგეობას 2 თვის ვადაში წარმოადგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული დებულება თ. ფ. დავითაიას სახელობის პრემიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 3 ივნისი, № 468

ეროვნული ბიბლიოთეკა

46 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„116. ოჩამჩირის მეფრინველეობის ფაბრიკა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 6 ივნისი, № 481

47 თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის ფილიალები ბოგდანოვკის რაიონის დაბა ბოგდანოვკასა და სოფელ პატარა გონდრიონში, ქალაქ ყვარელში და ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონში მოცულობითი მაჩვენებლების მიხედვით მესამე და მეოთხე ჯგუფების ფაბრიკებს მიეკუთვნებიან, დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენენ და ტერიტორიულად შორეულ რაიონებში მდებარეობენ, მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და შეიქმნას თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონი“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკა (მთავარი საწარმო), საწარმოო ერთეულები ბოგდანოვკის რაიონის დაბა ბოგდანოვკასა და სოფელ პატარა გონდრიონში, ქალაქ ყვარელში და ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 9 ივნისი, № 486

ეროვნული ბიბლიოთეკა

48 თვალსაჩინო ქართველი მეცნიერ-ისტორიკოსის, პროფესორ გ. ი. ნათაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინადადება თვალსაჩინო ქართველი მეცნიერ-ისტორიკოსის, პროფესორ გრიგოლ იასონის ძე ნათაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. დაარსდეს პროფესორ გ. ი. ნათაძის სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდიდან ისტორიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გამოსცეს პროფესორ გ. ი. ნათაძის ნაშრომთა ორტომეული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 12 ივნისი, № 496

49 საქართველოს სსრ იმ მდინარეებზე, სადაც გავრცელებულია ორაგულისებრი და თართისებრი თევზი, აკრძალული ზოლების დაწესების შესახებ

ორაგულისებრი და თართისებრი თევზის კვლავწარმოებისათვის მნიშვნელობის მქონე მდინარეთა ბუნებრივი რეჟიმის შენარჩუნების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს აკრძალული ზოლების სიგანე მდინარე რიონის, კოდორის, ბზიფისა და ჩერნაიასათვის — სამი კილომეტრი, ხოლო მდინარე ფსოუს, ბეგის, ფხისთის, გეგის, იუფშარის, ამტყელის, ჩხალთის, მზიმის, უშკურიის, კლიჩის, გვანდრის, საკენის, ბრამის, ვემიშის, ბელაიას, იგრინის, გუმისთის, აღმოსავლეთ გუმისთის, გენერიფშის, ნეზონკის, კელასურის, ჩხაპაჩის, ოქუმის, ოხოჯის, წარჩის, ერისწყლის, ენგურის, ჩხოუშის, ნაკრის, ღალიძგის, მოქვის, ააფსთის (ბაკლანოვკის), კინტრიშის, მაჭახელის, ცივის, ტეხურის, აბაშის, ცხენისწყლის, ხობის, ყვირილის, დეჯორის, ლაჯანურისა და ხანისწყლისათვის — ერთი კილომეტრი ნაპირიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 13 ივნისი, № 500

50 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 30 ოქტომბრის № 583 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 30 ოქტომბრის № 583 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში დამატებით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული, სოფლად მუდმივად მცხოვრები იურისტები და ვეტფერშლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 13 ივნისი, № 505

51 სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 20 ივნისი, № 520

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 20 ივნისის № 520 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ შესახებ

1. სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტი“ არის საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს. მის შემადგენლობაში შედის 8 საწარმოო გაერთიანება, მათ შორის შამპანური ღვინოების, სპირტისა და ლიქიორ-არაყის ნაწარმის გაერთიანებანი, კონიაკის კომბინატი, ღვინის კომბინატები, რომლებშიც შედის პირველადი და მეორადი მეღვინეობის 131 ქარხანა, მათ შორის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მოქმედი 10 ღვინის ჩამომსხმელი ქარხანა, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, სარემონტო-მექანიკური კომბინატი სამი ქარხნითურთ, მომარაგებისა და გასაღების ქვედანაყოფები, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, ღვინის პროპაგანდის სახლი, საფირმო მაღაზია „საჭაშნიკო“, კულტურის სახლი.

გაერთიანება „სამტრესტი“ ხელმძღვანელობს ღვინის მრეწველობის საქმიანობას და პასუხს აგებს მისი მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის (ყურძნის შესყიდვისა და გადამუშავებისათვის, ყურძნის ღვინოების, შამპანურის, კონიაკის, სპირტისა და ლიქიორ-არაყის ნაწარმის გამოშვებისათვის), მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ტექნიკური დონისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა დროულად ამოქმედებისა და ათვისებისათვის, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა და საფინანსო დისციპლინის დაცვისათვის, აგრეთვე სახელმწიფო გეგმის დავალებათა და ბიუჯეტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

2. გაერთიანება „სამტრესტი“ თავის საქმიანობას ახორციელებს სახალხო მეურნეობისა და თავის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ინტერესების დაცვის საფუძველზე საქვეუწყებო მეურნეობათა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის სწორი შეხამებით და სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების დანახარჯების, მათ შორის საპროექტო, საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა, ახალ ნაკეთობათა და პროცესთა ათვისების, მმართველობის აპარატის შენახვის დანახარჯების სრულ ანაზღაურებას, აგრეთვე უზრუნველყოფს ბიუჯეტთან და ბანკებთან ანგარიშსწორებისათვის, სამრეწველო წარმოების განვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარებისათვის, ფონდების, რეზერვების წარმოქმნისა და სხვა მიზნებისათვის საჭირო მოგების მიღებას.

3. გაერთიანება „სამტრესტის“ მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— უზრუნველყოს ღვინის მრეწველობის, როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, ყოველმხრივი განვითარება და წარმოების განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის სწრაფი ტემპი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე ღვინის მრეწველობის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების მიზნით;

— შეასრულოს სახელმწიფო გეგმის დავალებანი და უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის მტკიცე დაცვა;

— უზრუნველყოს საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება, აამაღლოს წარმოების ეფექტიანობა, გააუმჯობესოს ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენება;

— განახორციელოს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა დარგში, დანერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, უზრუნველყოს წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები;

— რაციონალურად გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებანი და აამაღლოს მათი ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის ღირებულება და ვადები, დროულად აამოქმედოს ძირითადი ფონდები და მოკლე ვადებში აითვისოს საწარმოო სიმძლავრეები;

— დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს სისტემის საწარმოო გაერთიანებანი, საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი კვალიფიციური კადრებით და შეუქმნას მათ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები;

— გააუმჯობესოს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

4. გაერთიანება „სამტრესტი“ მოქმედებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 140 დადგენილებით დამტკიცებული საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულების საფუძველზე, ახორციელებს ფუნქციებს და სარგებლობს ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებებით, ხოლო ოპერატიულ სამეურნეო საქმიანობაში წყვეტს დარგის მართვის ყველა საკითხს საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროს უფლებებით მინიჭებულ ფარგლებში.

5. გაერთიანება „სამტრესტი“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის კავების მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით,

აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას საქვეუწყებო მეურნეობებში; განაზოგადებს ღვინის მრეწველობაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფის შესახებ და წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. გაერთიანება „სამტრესტი“ საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით დაგეგმვის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსებისა და კრედიტის, კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში, აგრეთვე სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირურთიერთობის დარგში გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებასთან ერთად:

ა) შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებებს ღვინის მრეწველობის საწარმოებისათვის ნედლეულის ბაზის შესაქმნელად და განსავითარებლად, ამასთან შეუთანხმებს მათ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ბ) მონაწილეობას მიიღებს დადგენილი წესით ვაზის კულტურის ჯიშების გამოცდის სამუშაოებში და ღვინის მრეწველობის საწარმოების მიერ გამოყენებული ყურძნის დარაიონებასთან და ტექნოლოგიურ შეფასებასთან და აღნიშნული კულტურის ნარგავების განლაგებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში;

გ) მონაწილეობას მიიღებს ყურძნის შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შემუშავებაში, მოაწყობს მის გადამუშავებას თავისი სისტემის საწარმოებში; შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით მეღვინეობის ნედლეულისა და პროდუქციის განაწილების ბალანსებსა და გეგმებს;

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს საწარმოებს, სამშენებლო, საპროექტო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს მუშაკთა გეგმით დაწესებული სამტატო რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს — აგრეთვე საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით;

ე) კონტროლს გაუწევს პროდუქციის ხარისხსა და სანიტარიული რეჟიმის დაცვას საქვეუწყებო საწარმოებში; პროდუქციის ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნების ან სანიტარიული რეჟიმის დარღვევისას შეაჩერებს პროდუქციის გაშომუშავებას და გაგზავნას მომხმარებელთათვის;

ვ) გასცემს ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებებს ღვინის მრეწველობისათვის ახალ სახეობათა მოწყობილობისა და ხელსაწყოების შესამუშავებლად, შექმნის საჭირო შემთხვევებში პირობებს ამ სახეობათა მოწყობილობისა და ხელსაწყოების ტექნოლოგიური გამოცდების ჩასატარებლად, მონაწილეობას მიიღებს მათი გამოცდისა და მიღების სამუშაოებში;

ზ) შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით წარმოთა და ორგანიზაციათა ტვირთების გადაზიდვის გეგმებს, მოაწყობს ამ ტვირთების გადაზიდვას სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით;

თ) შეიმუშავებს და წარუდგენს დასამტკიცებლად სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ნედლეულის, მასალების ხარჯვისა და მზა პროდუქციის გამოსავლიანობის ნორმებს;

ი) მოაწყობს პირველადს აღრიცხვას საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში, მიიღებს დადგენილი წესით სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, განახორციელებს აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვის ღონისძიებებს;

კ) მოაწყობს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას სისტემაში, უზრუნველყოფს საუწყებო კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კომპლექსური რევიზიების რეგულარულად ჩატარებას საქვეუწყებო მეურნეობებში, მათი საწარმოო-საფინანსო საქმიანობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის შემოწმებას, ეკონომიის რეჟიმის დაცვას, განახორციელებს კონტროლს აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებისა და მათი უტყუარობისადმი, აგრეთვე ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დასაცავად და მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად;

ლ) ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, შეიმუშავებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე თემატიკურ გეგმებს, უზრუნველყოფს მიღებულ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

მ) განსაზღვრავს თავისი სისტემის საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა მოთხოვნილებას ნედლეულზე, სათბობზე, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ რესურსებზე, განაგებს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს მიერ გამოყოფილ ფონდებს და პასუხს აგებს საქვეუწყებო მეურნეობათა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

ნ) განახორციელებს ღონისძიებებს სამეურნეო ანგარიშის განსამტკიცებლად, რენტაბელობის ასამაღლებლად და სისტემის საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა დაგროვების მაქსიმალური გადიდებისათვის, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანი გამოყენებისათვის, კონტროლს გაუწევს ფინანსური რესურსების გამოყენებას;

ო) შექმნის დადგენილი წესით წარმოების განვითარების ფონდს, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდს, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ფონდს და სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს სისტემის მეურნეობებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

პ) წარადგენს დადგენილი წესით მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად;

ჟ) შეიმუშავებს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს და დადგენილი წესით წარუდგენს მათ დასამტკიცებლად ზემდგომ ორგანოებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ) დაუმტკიცებს საგეგმო დავალებებს უშუალოდ დაქვემდებარებული წარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს, განახორციელებს ღონისძიებებს დამტკიცებული გეგმების შესასრულებლად;

ს) მოაწყობს მუშაობას დაგეგმვის სრულყოფისათვის, ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერებისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის, მრეწველობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის, მოწინავე ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და ახალ სახეობათა პროდუქციის გამოშვების ათვისებისათვის;

ტ) მოაწყობს საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა პროდუქციის გასაღებას, განავითარებს და განამტკიცებს პირდაპირ კავშირურთიერთობას მიმწოდებელ საწარმოებსა და მომხმარებლებს შორის, კონტროლს გაუწევს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებასა და შესრულებას;

უ) უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურად განლაგებას, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში წარმართვას მოქმედ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დაჩქარებისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრირებას უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელ მშენებლობებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას; დადგენილი წესით განახორციელებს ობიექტების მშენებლობის პროექტების ექსპერტიზას, განიხილავს და დაამტკიცებს სატიტულო სიებსა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, კონტროლს გაუწევს საჯარო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელ მშენებლობას;

ფ) უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტების დანერგვასა და დაცვას, შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკურ პირობებს;

ქ) განახორციელებს მუშაობას კადრების შერჩევის, აღზრდისა და მომზადებისათვის, ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, უზრუნველყოფს მათს სწორად გამოყენებას;

ღ) შეიმუშავებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების ღონისძიებებს, განახორციელებს კონტროლს შრომის დისციპლინის დაცვისადმი, აგრეთვე ხელფასის ფონდების სწორად ხარჯვისადმი;

ყ) მოაწყობს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც მიზნად ისახავს მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, შრომის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებას, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას, მატერიალური და ფულადი რესურსების ეკონომიურად ხარჯვას, ხელმძღვანელობას გაუწევს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და გააკონტროლებს მათს შესრულებას;

შ) დაიტოვებს თავის განკარგულებაში ხელფასის ფონდის რეზერვს, გომი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ხელფასის წლიური ფონდის 2 პროცენტის ფარგლებში.

გაერთიანება „სამტრესტს“ შეუძლია ნება დართოს თავის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაფარონ ხელფასის ფონდის გადახარჯვა მიმდინარე წლის ხელფასის ფონდის რეზერვის ხარჯზე, აგრეთვე მთლიანად წლის განმავლობაში მიღებული ხელფასის ფონდის აბსოლუტური ეკონომიის ხარჯზე;

ჩ) მოაწყობს მუშაობას შრომის დაცვის გასაუმჯობესებლად, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დასაცავად საქვეუწყებო გაერთიანებებსა და საწარმოებში, განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სამრეწველო და სამეურნეო განაფრქვევებით, ჩამდინარი წყლებითა და წარმოების სხვა ნარჩენებით გაჭუჭყიანებისაგან ჰაერის, ნიადაგისა და წყალსატევების დასაცავად, აგრეთვე სამრეწველო ხმაურის წინააღმდეგ საბრძოლველად;

ძ) უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვას ღვინის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

7. გაერთიანება „სამტრესტს“ სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი პერსონალურად აგებს პასუხს ამ გაერთიანებისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, განსაზღვრავს უფროსის მოადგილეთა, განყოფილებების უფროსთა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისათვის.

გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი სამრეწველო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობისა და მართვის დარგში სარგებლობს საქართველოს სსრ მინისტრებისათვის გათვალისწინებული უფლებებით.

გაერთიანების უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს თანხმობით.

გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს გაერთიანების უფროსი.

გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი ამტკიცებს საწარმოო გაერთიანებათა დებულებებს და სისტემის საწარმოთა წესდებებს.

8. გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი დაუნიშნავს მუშაკებს ხელფასის პერსონალურ დანამატებს და მოუხსნის მათ გაერთიანებისათვის დამტკიცებული პერსონალური დანამატების ლიმიტის ფარგლებში.

9. გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ბრძანებათა, ინსტრუქციათა და მითითებათა საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს, გასცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, და შეამოწმებს მათს შესრულებას.

გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

10. გაერთიანება „სამტრესტში“ იქმნება დირექტორთა საბჭო გაერთიანების უფროსის (საბჭოს თავმჯდომარე), უფროსის მოადგილეების, საწარმოო გაერთიანებების, კომბინატების, საბჭოთა მეურნეობის დირექტორების, აგრეთვე შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს წარმომადგენლის შემადგენლობით.

დირექტორთა საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის საჭირო შემთხვევებში მიწვეულ იქნებიან გაერთიანების სპეციალისტები და ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოების მოწინავენი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

11. დირექტორთა საბჭო განიხილავს:

— მთლიანად გაერთიანების, აგრეთვე მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს;

— ანგარიშებს გაერთიანებისა და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ანგარიშებს უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულების შესახებ;

— ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, აგრეთვე სტანდარტების დანერგვის საკითხებს;

— საწარმოთა და ორგანიზაციათა სპეციალიზაციისა და კოოპერირების უზრუნველყოფის, საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენების, გაერთიანების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების პროექტებს;

— მომარაგება-გასაღების ორგანოებთან და სხვა გაერთიანებებთან გაერთიანების სამეურნეო კავშირურთიერთობის ორგანიზაციის საკითხებს სამეურნეო ანგარიშის პრინციპებისა და ხელშეკრულებათა სისტემის საფუძველზე, რომლებიც მიზნად ისახავენ პროდუქციის გამოშვებისა და მიწოდების ორგანიზაციის გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის საჭირო რაოდენობითა და ნომენკლატურით (ასორტიმენტით);

— გაერთიანების საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ფასთა ცვლილების გეგმების პროექტებს შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების დანახარჯების შემცირების, აგრეთვე გამოსაშვებ პროდუქციაზე სახალხო მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების აუცილებლობის გათვალისწინებით;

— შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის, მართვის სრულყოფისა და სამეურნეო ანგარიშის საკითხებს;

— კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს;

— გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიხედვით ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნის ნორმატივების პროექტებს, ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებული ფონდების, აგრეთვე სხვა ფონდებისა და გაერთიანების რეზერვების გამოყენების საკითხებს;

— გაერთიანებაში ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაციის, ამ ფუნქციათა განხორციელებისათვის საჭირო რესურსების ოდენობისა და წყაროების საკითხებს;

— გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალური განვითარების საკითხებს;

— გაერთიანების საქმიანობის სხვა საკითხებს.

12. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, გაერთიანების უფროსის ბრძანებებით.

თუ გაერთიანების უფროსსა და დირექტორთა საბჭოს შორის წარმოიშვა უთანხმოება საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხებზე, გაერთიანების უფროსი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს ზემდგომ ორგანოს. დირექტორთა საბჭოს წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი ზემდგომ ორგანოს.

13. გაერთიანება „სამტრესტი“ სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის სამეურნეო დავის განსახილველად შექმნის იურიდიულ განყოფილებას საუწყებო არბიტრაჟითურთ, რომელსაც უფლება აქვს გამოსცეს ბრძანებანი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებით შესრულების შესახებ.

არბიტრაჟის დებულებას დაამტკიცებს გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი.

14. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა განხილვის, მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრის, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობაში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო თვალსაჩინო მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, აგრეთვე სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას დაამტკიცებს გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი.

15. გაერთიანება „სამტრესტის“ ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და საშტატო რიცხოვნობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აპარატის სამტატო განრიგს, აგრეთვე მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს დაამტკიცებს გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი.

16. გაერთიანება „სამტრესტს“ აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია გაერთიანების დასახელება.

---

52 სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 20 ივნისი, № 521

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 20 ივნისის № 521 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ შესახებ

1. სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაი“ არის საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს. მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემადგენლობაში შედის 14 რაიონული ჩაის საწარმოო გაერთიანება ჩაის მუშავნე ფოთლის პირველადი გადამუშავების 84 ჩაის ფაბრიკითურთ, 10 ჩაის საწონი და ჩაის საწნეხი ფაბრიკა, 4 მექანიკური და სარემონტო-მექანიკური კომბინატი, მომარაგების კანტორა და გასაღების კანტორა, სასწავლო-საკურსო კომბინატი და ჩაის სახლი.

გაერთიანება „საქჩაი“ ხელმძღვანელობს ჩაის მრეწველობის საქმიანობას და პასუხს აგებს მისი მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ტექნიკური დონისათვის, გამოშვებული ჩაის პროდუქციის ხარისხისათვის, ჩაის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა დროულად ამოქმედებისა და ათვისებისათვის, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა და საფინანსო დისციპლინის დაცვისათვის, აგრეთვე სახელმწიფო გეგმის დავალებათა და ბიუჯეტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

2. გაერთიანება „საქჩაი“ თავის საქმიანობას ახორციელებს სახალხო მეურნეობისა და თავის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ინტერესების დაცვის საფუძველზე საქვეუწყებო მეურნეობათა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის სწორი შეხამებით და სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების დანახარჯების, მათ შორის საპროექტო-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა, ახალ ნაკეთობათა და პროცესთა ათვისების, მმართველობის აპარატის შენახვის დანახარჯების სრულ ანაზღაურებას, აგრეთვე უზრუნველყოფს ბიუჯეტთან და ბანკებთან ანგარიშსწორებისათვის, სამრეწველო წარმოების განვითარებისათვის, ფონდების, რეზერვების წარმოქმნისა და სხვა მიზნებისათვის საჭირო მოგების მიღებას. პროდუქციის წარმოების დანახარჯების სრული ანაზღაურება და მოგების მიღება უნდა უზრუნველყოს ფასწარმოქმნის დისციპლინის მტკიცედ დაცვამ.

საჭირო შემთხვევებში გაერთიანებას დადგენილი წესით გამოეყოფა კაპიტალური დაბანდებანი.

3. გაერთიანება „საქჩაის“ მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— უზრუნველყოს წარმოების ყოველმხრივი განვითარება და სრულყოფა და ჩაის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება;

— შეასრულოს სახელმწიფო გეგმის დავალებანი და უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის მტკიცე დაცვა;

— უზრუნველყოს საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით მაღალხარისხოვანი ჩაის პროდუქციის წარმოება, აამაღლოს წარმოების ეფექტიანობა, გააუმჯობესოს ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განახორციელოს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა დარგში, დანერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, უზრუნველყოს წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები;

— რაციონალურად გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებანი და აამაღლოს მათი ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის ღირებულება და ვადები, დროულად აამოქმედოს ძირითადი ფონდები და მოკლე ვადებში აითვისოს საწარმოო სიმძლავრეები;

— დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ჩაის საწარმოო გაერთიანებანი, საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი კვალიფიციური კადრებით და შეუქმნას მათ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები;

— გააუმჯობესოს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

4. გაერთიანება „საქჩაი“ მოქმედებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 140 დადგენილებით დამტკიცებული საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულების საფუძველზე, ახორციელებს ფუნქციებს და სარგებლობს ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებებით, ხოლო ოპერატიულ სამეურნეო საქმიანობაში წყვეტს დარგის მართვის ყველა საკითხს საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროს უფლებებით მინიჭებულ ფარგლებში.

5. გაერთიანება „საქჩაი“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში; განაზოგადებს ჩაის მრეწველობაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფის შესახებ და წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. გაერთიანება „საქჩაი“ საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით დაგეგმვის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსებისა და კრედიტის, კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში, აგრეთვე სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირურთიერთობის დარგში გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებასთან ერთად:

ა) შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან ერთად ღონისძიებებს ჩაის მრეწვე-

ლობის საწარმოებისათვის ნედლეულის ბაზის შესაქმნელად და განსავითარებ-
ლად. ამასთან შეუთანხმებს მათ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტ-
როსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ბ) მონაწილეობას მიიღებს ჩაის ფოთლის შესყიდვის სახელმწიფო გეგმე-
ბის შემუშავებაში, მოაწყობს ჩაის ნედლეულის დამზადებასა და გადამუშავებას
გადამმუშავებელი მრეწველობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმა-
ყოფილებლად; შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წე-
სით ნედლეულის განაწილების ბალანსებსა და გეგმებს, უზრუნველყოფს გამო-
ყოფილი ფონდების შესაბამისად განაწილების ბალანსებსა და გეგმებში შეტა-
ნილი ჩაის ნედლეულის მიწოდებას;

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით შექმნის, გარდაქმნის
და გააუქმებს საწარმოებს, სამშენებლო, საპროექტო და სხვა სამეურნეო ორგა-
ნიზაციებს მუშაკთა გეგმით დაწესებული რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის
ფარგლებში, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართ-
ველოს სსრ ფინანსთა სამინისტროთსან შეთანხმებით, ხოლო საპროექტო და
სამშენებლო ორგანიზაციებს — აგრეთვე საქართველოს სსრ სახმშენთან შეთან-
ხმებით;

დ) კონტროლს გაუწევს პროდუქციის ხარისხსა და სანიტარიული რეჟი-
მის დაცვას საქვეუწყებო საწარმოებში; ჩაის პროდუქციის ხარისხისადმი წაყე-
ნებული მოთხოვნების ან სანიტარიული რეჟიმის დარღვევისას შეაჩერებს პრო-
დუქციის გამომუშავებას და გაგზავნას მომხმარებელთათვის;

ე) გასცემს ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებებს ჩაის მრეწველობისათ-
ვის ახალ სახეობათა მოწყობილობისა და ხელსაწყოების შესამუშავებლად, შექ-
მნის საჭირო შემთხვევებში პირობებს ამ სახეობათა მოწყობილობისა და ხელ-
საწყოების ტექნოლოგიური გამოცდების ჩასატარებლად, მონაწილეობას მიი-
ღებს მათი გამოცდისა და მიღების სამუშაოებში;

ვ) შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით სა-
წარმოთა და ორგანიზაციათა ტვირთების გადაზიდვის გეგმებს, მოაწყობს ჩაის
ნედლეულის გადაზიდვას სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით;

ზ) შეიმუშავებს და წარუდგენს დასამტკიცებლად სსრ კავშირის კვების
მრეწველობის სამინისტროს ნედლეულის, მასალების ხარჯვისა და მზა პროდუქ-
ციის გამოსავლიანობის ნორმებს;

თ) მოაწყობს პირველადს აღრიცხვას საქვეუწყებო ჩაის საწარმოო გაერ-
თიანებებსა და საწარმოებში, მიიღებს დადგენილი წესით სტატისტიკურ და
საბუღალტრო ანგარიშგებას, განახორციელებს აღრიცხვის პროგრესული მეთო-
დების დანერგვის ღონისძიებებს;

ი) მოაწყობს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას სისტემაში, უზრუნველ-
ყოფს საუწყებო კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად
კომპლექსური რევიზიების რეგულარულად ჩატარებას საქვეუწყებო მეურნე-
ობებში, მათი საწარმოო-საფინანსო საქმიანობის ყოველმხრივ ანალიზს, ფუნ-
დი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის შემოწმებას, ეკონომიის
რეჟიმის დაცვას, განახორციელებს კონტროლს აღრიცხვისა და ანგარიშგების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორად წარმოებისა და მათი უტყუარობისადმი, აგრეთვე ღონისძიებებს ხელმწიფო ქონების დასაცავად და მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად;

კ) ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, შეიმუშავებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე თემატიკურ გეგმებს, უზრუნველყოფს მიღებულ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

ლ) განსაზღვრავს თავისი სისტემის საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა მოთხოვნილებას ნედლეულზე, სათბობზე, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ რესურსებზე, განაგებს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს მიერ გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს და პასუხს აგებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ ჩაის საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

მ) განახორციელებს ღონისძიებებს სამეურნეო ანგარიშის განსამტკიცებლად, რენტაბელობის ასამაღლებლად და სისტემის საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა დაგროვების მაქსიმალური გადიდებისათვის, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანი გამოყენებისათვის, კონტროლს გაუწევს ფინანსური რესურსების გამოყენებას;

ნ) შექმნის დადგენილი წესით წარმოების განვითარების ფონდს, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდს, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ფონდს და სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს. აგრეთვე რეზერვს თავისი სისტემის მეურნეობებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

ო) წარადგენს დადგენილი წესით მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად;

პ) შეიმუშავებს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს და დადგენილი წესით წარუდგენს მათ დასამტკიცებლად ზემდგომ ორგანოებს;

ჟ) დაუმტკიცებს საგეგმო დავალებებს უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს, განახორციელებს ღონისძიებებს დამტკიცებული გეგმების შესასრულებლად;

რ) მოაწყობს მუშაობას დაგეგმვის სრულყოფისათვის, ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერებისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის, მრეწველობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის, მოწინავე ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ახალ სახეობათა ჩაის პროდუქციის გამოშვების ათვისებისათვის და იმ პროდუქციის წარმოებიდან მოხსნისათვის, რომელიც მოთხოვნილებით არ სარგებლობს;

ს) მოაწყობს ჩაის საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა პროდუქციის გასაღებას. განავითარებს და განამტკიცებს პირდაპირ კავშირურთიერთობას მიმწოდებელ საწარმოებსა და მომხმარებლებს შორის; კონტროლს გაუწევს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებასა და შესრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ) უზრუნველყოფს საექსპორტოდ საქონლის მიწოდების დავალებათა შესრულებას და მიიღებს ზომებს საექსპორტოდ მისაწოდებელი საქონლის ნომენკლატურის გასაფართოებლად და საექსპორტო მიწოდების მოცულობის გასადიდებლად;

უ) უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურად განლაგებას, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში წარმართვას მოქმედ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დაჩქარებისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრირებას უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელ მშენებლობებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას; დადგენილი წესით განახორციელებს ობიექტების მშენებლობის პროექტების ექსპერტიზას, განიხილავს და დაამტკიცებს სატიტულო სიებსა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, კონტროლს გაუწევს საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელ მშენებლობას;

ფ) უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტების, სარესპუბლიკათაშორისო, რესპუბლიკური და სხვა ტექნიკური პირობების დანერგვასა და დაცვას, შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკურ პირობებს;

ქ) განახორციელებს მუშაობას კადრების შერჩევის, აღზრდისა და მომზადებისათვის, ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, უზრუნველყოფს მათს სწორად გამოყენებას;

ღ) შეიმუშავებს წინადადებებს სისტემაში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირების ღონისძიებებს, განახორციელებს კონტროლს მუშაკთა შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების სწორად გამოყენებისადმი, შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებისადმი, აგრეთვე ხელფასის ფონდების სწორად ხარჯვისადმი;

ყ) მოაწყობს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც მიზნად ისახავს მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, შრომის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებას, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას, მატერიალური და ფულადი რესურსების ეკონომიურად ხარჯვას, ხელმძღვანელობას გაუწევს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და გააკონტროლებს მათს შესრულებას;

შ) დაიტოვებს თავის განკარგულებაში ხელფასის ფონდის რეზერვს ზემდგომი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ხელფასის წლიური ფონდის 2 პროცენტის ფარგლებში.

გაერთიანება „საჩაის“ შეუძლია ნება დართოს თავის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაფარონ ხელფასის ფონდის გადახარჯვა მიმდინარე წლის ხელფასის ფონდის რეზერვის ხარჯზე, აგრეთვე მთლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანად წლის განმავლობაში მიღებული ხელფასის ფონდის აბსოლუტური ეკონომიის ხარჯზე;

ჩ) მოაწყობს მუშაობას შრომის დაცვის გასაუმჯობესებლად, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დასაცავად საქვეუწყებო გაერთიანებებსა და საწარმოებში, განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სამრეწველო და სამეურნეო განაფრქვევებით, ჩამდინარი წყლებითა და წარმოების სხვა ნარჩენებით გაჭუჭყიანებისაგან ჰაერის, ნიადაგისა და წყალსატევების დასაცავად, აგრეთვე სამრეწველო ხმაურის წინააღმდეგ საბრძოლველად;

ც) უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვას ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

7. გაერთიანება „საქჩაის“ სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი სამრეწველო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობისა და მართვის დარგში სარგებლობს საქართველოს სსრ მინისტრებისათვის გათვალისწინებული უფლებებით.

გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი პერსონალურად აგებს პასუხს ამ გაერთიანებისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, განსაზღვრავს უფროსის მოადგილეთა, განყოფილებების უფროსთა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისათვის.

გაერთიანების უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს თანხმობით.

გაერთიანება „საქჩაის“ უფროსის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს გაერთიანების უფროსი.

გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი ამტკიცებს საწარმოო გაერთიანებათა დებულებებს და სისტემის საწარმოთა წესდებებს.

8. გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი დაუნიშნავს მუშაკებს ხელფასის პერსონალურ დანამატებს და მოუხსნის მათ გაერთიანებისათვის დამტკიცებული პერსონალური დანამატების ლიმიტის ფარგლებში.

9. გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ბრძანებათა, ინსტრუქციათა და მითითებათა საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს, გასცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, და შეამოწმებს მათს შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საკავშირო-თველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

10. გაერთიანება „საქჩაიში“ იქმნება დირექტორთა საბჭო გაერთიანების უფროსის (საბჭოს თავმჯდომარე), უფროსის მოადგილეების, საწარმოო გაერთიანებების, კომბინატების დირექტორების, აგრეთვე შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს წარმომადგენლის შემადგენლობით.

დირექტორთა საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის საჭირო შემთხვევებში მიწვეულ იქნებიან გაერთიანების სპეციალისტები და ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოების მოწინავენი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

11. დირექტორთა საბჭო განიხილავს:

— მთლიანად გაერთიანების, აგრეთვე მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების **პროექტებს;**

— ანგარიშებს **გაერთიანებისა** და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა **საწარმოო-სამეურნეო** საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ანგარიშებს უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულების შესახებ;

— ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, აგრეთვე სტანდარტების დანერგვის საკითხებს;

— საწარმოთა და ორგანიზაციათა სპეციალიზაციისა და კოოპერირების უზრუნველყოფის, საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენების, გაერთიანების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების პროექტებს;

— მომარაგება-გასაღების ორგანოებთან და სხვა გაერთიანებებთან გაერთიანების სამეურნეო კავშირურთიერთობის ორგანიზაციის **საკითხებს** სამეურნეო ანგარიშის პრინციპებისა და ხელშეკრულებათა **სისტემის** საფუძველზე, რომლებიც მიზნად ისახავენ პროდუქციის გამოშვებისა და მიწოდების ორგანიზაციის გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის საჭირო რაოდენობითა და ნომენკლატურით (ასორტიმენტით);

— გაერთიანების საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ფასთა ცვლილების გეგმების პროექტებს შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების დანახარჯების შემცირების, აგრეთვე გამოსაშვებ პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების აუცილებლობის გათვალისწინებით;

— შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის, მართვის სრულყოფისა და სამეურნეო ანგარიშის საკითხებს;

— კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს;

— **გაერთიანების** შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიხედვით ეკონომიკური **სტიმულირების** ფონდების შექმნის ნორმატივების **პროექტებს,** ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებული ფონდების, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე სხვა ფონდებისა და გაერთიანების რეზერვების გამოყენების საკითხებს;

— გაერთიანებაში ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაციის, ამ ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების ოდენობისა და წყაროების საკითხებს;

— გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალური განვითარების საკითხებს;

— გაერთიანების საქმიანობის სხვა საკითხებს.

12. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, გაერთიანების უფროსის ბრძანებებით.

თუ გაერთიანების უფროსსა და დირექტორთა საბჭოს შორის წარმოიშვა უთანხმოება საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხებზე, გაერთიანების უფროსი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს ზემდგომ ორგანოს. დირექტორთა საბჭოს წევრებს თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი ზემდგომ ორგანოს.

13. გაერთიანება „საქჩაი“ სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის სამეურნეო დავის განსახილველად შექმნის იურიდიულ განყოფილებას საუწყებო არბიტრაჟითურთ, გაერთიანების არბიტრაჟს უფლება აქვს გამოსცეს ბრძანებანი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებით შესრულების შესახებ.

არბიტრაჟის დებულებას დაამტკიცებს გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი.

14. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა განხილვის, კვების მრეწველობაში მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრის, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობაში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო თვალსაჩინო მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას დაამტკიცებს გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი.

15. გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და საშტატო რიცხოვნობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს დაამტკიცებს გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი.

16. გაერთიანება „საქჩაის“ აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია გაერთიანების დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

53 მესტიის რაიონის სოფელ ჩაჟაშის ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ

მესტიის რაიონის სოფელ ჩაჟაშისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა მოვლა-პატრონობისა და გამოყენების, ტურისტულ-საექსკურსიო და მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და „მესტიის რაიონის სოფელ ჩაჟაშის არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 ოქტომბრის № 527 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მესტიის რაიონის სოფელ ჩაჟაშის ნაკრძალის საზღვრებში 1981 წლიდან დაარსდეს ჩაჟაშის ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მუზეუმ-ნაკრძალი. მუზეუმ-ნაკრძალის საზღვრებად დაწესდეს: ჩრდილოეთით — უშგულის მთები, სამხრეთით — ჩაჟაშის „ზედა ციხე“, დასავლეთით — სოფელი მურყმელი, აღმოსავლეთით — სოფელი ჟიბიანი.

2. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ 1981 წლის გეგმის შედგენისას გაითვალისწინოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსათვის მუზეუმ-ნაკრძალის საშტატო ერთეულებისა და შესანახი სახსრების გამოყოფა მისთვის დამტკიცებული ზღვრული ასიგნების ფარგლებში №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

1981 წლიდან დაიწყოს სოფელ ჩაჟაშისა და მისი მიმდებარე ხუროთმოძღვრული ძეგლების გამაგრების, რესტავრაციისა და ადაპტაციის სამუშაოები.

3. საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა სოფელ ჩაჟაშის ხუროთმოძღვრული ძეგლების სარესტავრაციო-გასამაგრებელი სამუშაოებისათვის 1981 წელს გამოუყოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს საჭირო საშენი მასალები.

4. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ 1981-1983 წლებში გამოუყოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სოფელ ჩაჟაშის ხუროთმოძღვრული ძეგლების სარესტავრაციო-გამოყენებითი სამუშაოებისათვის საჭირო ზომისა და ჯიშის 50 კუბური მეტრი ხის მასალა.

5. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წილობრივი მონაწილეობით 1981 წლიდან დაიწყოს და 1983 წლისათვის დაამთავროს საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა.

6. ცეკავშირის გამგეობამ 1981 წელს გახსნას სოფელ ჩაჟაშის მუზეუმ-ნაკრძალში სუვენირებისა და ნაბეჭდი პროდუქციის სარეალიზაციო ფარდული

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, მესტიის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, საპროექტო ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსახპროექტმა“ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განსაზღვრონ სოფელ ჩაჟაშიდან გასაყვან მცხოვრებთათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის, დაფინანსების, დაგეგმარებისა და განაშენიანების, ახალი საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და ასაშენებელი სახლების დამკვეთი და მოიჯარე ორგანიზაციების საკითხები და წარმოუდგინონ ერთობლივი წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 2 ივნისი, № 526

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 21 ივნისის № 526 დადგენილების დანართი № 1

საშტატო განრიგი

მესტიის რაიონის სოფელ ჩაჟაშის ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მუზეუმ-ნაკრძალისა

თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულები
დირექტორი	1
ბუღალტერი	1
მეცნიერ თანამშრომელი	1
ზედამხედველი	1
ინჟინერ-არქიტექტორი	1
ექსკურსიის მძღოლი	2
მ ო ლ ა რ ე	1
დამლაგებელი	1
ს უ ლ	9

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3. 1980 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/X-80 წ. ქაღალდის ზომა 70×1/16,
საბეჭდი თაბახი 2,5, სააღრიცხვო თაბახი 2,5

შეკვეთა № 810 უე 04424 ტირაჟი 1730

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

ბ. 173/38

ეროვნული ბიბლიოთეკა